

ივანე ამირხანაშვილი (საქართველო)

მინიმალში როგორც პრაქტიკული საჭიროება

(მეტაფრასტიდან სვინაქსარამდე)

ეს არის არა ესთეტიკური მიმართულება, არამედ მიზნობრივი გზა, პრაქტიკული საჭიროება, ფუნქციური სტილი – ლიტერატურული სტრატეგია, მცირე ფორმის ხელოვნება.

ადაპტაციის სახე, კონკრეტიზმი და საგნობრიობა. უფრო „მინიმუმის“ პრაქტიკა, ვიდრე მინიმალისტური ტექნიკა.

ღვთისმსახურება მოითხოვს შეიქმნას მოკლე ტექსტები, რათა ლიტურგიკული კალენდარი მეტისმეტად არ გადაიტვირთოს. დროთა განმავლობაში კალენდარი მართლაც გადაიტვირთა წმინდანთა დღესასწაულებით. „ცხოვრებათა“ და „წამებათა“ ვრცელი ტექსტების წაკითხვა ვეღარ ესწრებოდა, ამიტომ აუცილებელი გახდა მასალის შემოკლება.

განხორციელდა კომუნიკაციური იდეა, რომელშიც პირველადი მნიშვნელობა მიენიჭა პრაქტიკას.

აგიოგრაფიული თხრობის მეორე პოლუსი: მეტაფრასტიდან სვინაქსარისკენ. სვინაქსარი ანუ „სიტყუა მოკლედ ნათქომი“, „მოკლედ აღწერილი“, „გამოკრებილი“.

ტექსტი „გამოკრებილია“, მაგრამ სინტაქსი არ არის შესაბამისად დაწურული. შემოკლება სინტაქსურ ქსოვილს არ ეხება. ხშირ შემთხვევაში მოკლე ტექსტში უცვლელად, ხელუხლებლად გადმოდის ვრცელი რედაქციის სტილი. მას არ ახასიათებს ლაპიდარულობა და ლაკონიზმი. უფრო ვრცელი სტრუქტურის ფრაგმენტებია, ვიდრე მისი ტრანსფორმაცია. თუმცა თავისი ყალიბი აქვს. სტანდარტია. დავინროებულია ჩარჩო, ოღონდ ამ სივინროვეში რჩება ვარიანტების საშუალება, რათა მინიმალისტურ ფორმაში გაიხსნას ალქმის მაქსიმალისტური საშუალებები.

მცირე ფორმა როგორც კულტურის ელემენტი! შინაარსის გადმოცემის ფუნქცია – კომპრესიის, კუმშვის, ლაკონიზმის გზით. იმდენად ინტუიცია არ ერევა საქმეში, რამდენადაც ანგარიში – გამოირჩეს ფაქტი, მოვლენა, ფრაზა ისე, რომ დარჩეს მთავარი და გამოირიცხოს შემთხვევითი. ტექსტის ესთეტიკური ხარისხი შემდგენლის ანუ გამოკრებლის გემოვნებაზე დამოკიდებული, რას არჩევს, რა გადმოაქვს წყაროდან, რას გამოკრებს. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად დამოუკიდებელია, რამდენად თავისუფალია იქ, სადაც საჭიროა თავისუფლება. შემდგენელმა უნდა შეცვალოს კითხვის მოტივაცია, ვრცელ ტექსტთან შედარებით გაამარტივოს თხრობა, გაამძაფროს ალქმა, აამაღლოს განწყობილება.

„მოკლედ ნათქომი“ ზოგჯერ დედნის ეპიზოდებს ასწორებს და განსხვავებული აზრითა და ფრაზეოლოგიით გადმოსცემს.

სვინაქსარი („სვინაქსარიონ“) ეწოდება კრებულს. მომდინარეობს ძველბერძნული სიტყვიდან „სინაქსის“ („სინაგოგა“ – ვკრებ), ნიშნავს: 1. მორწმუნეთა კრებას; 2. ცნობათა კრებულს. სვინაქსარული ტექსტები შედის კრებულებში: „სვინაქსარი“, „გულანი“, „სადღესასწაულონი“. დაკავშირებულია ლიტურგიკულ პრაქტიკასთან. როგორც ზემოთ ითქვა, მეორეული ტექსტია.

სხვა არის სვინაქსარული ტექსტი, სხვა – შემოკლებული. სვინაქსარულ ანუ ლიტურგიკულ კრებულებში არ შეაქვთ შემოკლებული ცხოვრებანი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ორივე ტექსტი სვინაქსარულ ტიპში ერთიანდება.

სვინაქსარული სტილი აქტუალიზდება მას შემდეგ, რაც მეტაფრასტიკა აღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს. მიმდინარეობს ცოცხალი, აქტიური პროცესი. ჟანრი ავლენს თვითგანვითარების უნარს. ეკლესიაში წმინდანების სრულ ცხოვრებათა წაკითხვა, მკვლევართა ვარაუდით, X საუკუნის მიწურულამდე გრძელდება. ამ დროს გადადიან მოკლე ტექსტების კითხვაზე, რაც დროის დაზოგვის მიზნით კეთდება.

მას შემდეგ, რაც გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა „დიდი სვინაქსარი“, ქართულ ეკლესიაში დაიწყო აგიოგრაფიული მოთხოვნების გადმოცემის ახალი, სვინაქსარული ეტაპი (ძეგლები 1968: 34). გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფოსი, „დიდი სვინაქსარის“ თარგმანს ეკლესიის საფუძველს უწოდებს. მისი სიტყვით, ეკლესიას შეიძლება ყველა წიგნი ჰქონდეს, მაგრამ თუ „დიდი სვინაქსარი“ არ აქვს, არც საფუძველი გააჩნია, რადგან ეს იმას ჰგავს, თაფლსა ჭამდე და სასა სიტკბოს ვერ გრძნობდეს (ძეგლები 1968: 57).

თითქმის ყველა სვინაქსარულ ცხოვრებას ლიტონი დასაწყისი აქვს, იხსენიება სახელი, წარმომავლობა, სადაურობა. საგანი პირდაპირ შემოდის ალქმის არეალში. მაგალითად:

„ესე სამგზის სანატრელი მამაი ჩუენი ეფთვიმი აღმოეცენა ქუეყანასა ტაოისსა, მშობელთაგან მორწმუნეთა და ღმრთის-მსახურთა და მერმე მდიდართა და წარჩინებულთა“ („ეფთვიმე მთაწმინდელის ცხოვრება“);

„ხოლო იყო ღმერთშემოსილი ესე მამაი ჩუენი პროხორი ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით“ („პროხორეს ცხოვრება“);

„ესე სანატრელი ქრისტეს მონამე ნიკოლოზ იყო ნათესავად დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების ნაი, შვილი მორწმუნეთა მშობელთაი“ (ნიკოლოზ დვალის წამება“);

„ესე წმიდა იყო მამით კაბადუკიელი და დედით კოლასელი, მშობელთა ღმრთის-მოშითა“ („წინო განმანათლებლის ცხოვრება“);

„ესე იყო ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართაი...“ („ილარიონ ქართველის ცხოვრება“);

„ესე წმიდა და ღმერთშემოსილი შიო იყო ქუეყანით ასურეთით, ქალაქისაგან ანტიოქისა, მშობელთაგან აზნაურთა“ („შიო მღვიმელის ცხოვრება“) (ძეგლები 1968: 333-368).

სვინაქსარული ტექსტის შემქმნელს ავტორს ვერ ვუწოდებთ. ის უფრო რედაქტორ-გამომკრებელია, შემოქმედის პრეტენზია არ აქვს. არც ერთი რედაქ-

ტორ-გამომკრებლის ვინაობა ცნობილი არ არის. მხოლოდ ვარაუდით შეიძლება ვინმეს დასახელება (ძეგლები 1968: 94).

სვინაქსარს ნაკლებად აინტერესებს ისტორიული ამბები, რეალურ ფაქტებს დიდ ყურადღებას არ უთმობს, უფრო ხშირად იყენებს სასწაულებს, როგორც განზოგადების ეფექტურ საშუალებას. მაგრამ არც ეს არის წესი. გააჩნია, ვინ არის გამომკრები, ვის ცხოვრებას გამოკრებს და რომელი ეკლესიისათვის.

სვინაქსარი ვრცელ რედაქციასთან შედარებით პერიფრაზული უნდა იყოს. გაშლილი თხრობა თითო წინადადებაში უნდა ეტეოდეს. შემოკლებული ტექსტის გარეთ რჩება ავტორისეული წიაღსვლები და ბრძნადმეტყველებანი. სამაგიეროდ, აღინუსხება ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც კი გმირის ცხოვრებას უკავშირდება. „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ სვინაქსარში ვრცელი რედაქციის არც ერთი ფაქტობრივი დეტალი არ არის გამოტოვებული. რაც შეეხება ბიბლიურ პარალელებსა და ემოციურ ფრაზეოლოგიას, თითქმის უგულებელყოფილია.

სვინაქსარი როგორც დეტალის ხელოვნება?!

ეს დასკვნა მართებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მეტაფრასული ტექსტი a priori გულისხმობს შინაარსობრივად ვრცელ თხრობას, სვინაქსარი კი მისგან გამოკრებილ, შემოკლებულ ტექსტს.

არის სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, ეფთვიმე მთანმინდელის სვინაქსარული ცხოვრება პირდაპირ იმეორებს ვრცელი ცხოვრების ეპიზოდებს. არ ამოკლებს, თუნდაც მონაკვეთი უხვსიტყვაობით გამოიჩინოდეს.

შიო მღვიმელის ცხოვრების სვინაქსარის შემდგენლის მეთოდი ასეთია – მეტაფრასული ტექსტის შესაბამისი ადგილები გამეორებულია შინაარსობრივი სიზუსტით, ოღონდ მაქსიმალური შემოკლებით, მეტისმეტად დაწურულად. სვინაქსარი ხდება მეტაფრასტის ლიტურგიკული მინიმოდელი. ამასთანავე, შემდგენელი ცდილობს არ გაიმეოროს ვრცელი ტექსტის ერთგვაროვანი ადგილები, ორ ერთნაირ ამბავს ერთი ფრაზით გადმოსცემს. მაგალითად, ვრცელ ტექსტში ცალცალკე, დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ „განვლო ხმელად“ ევაგრემ, შიოს კვერთხის დახმარებით, მდინარე მტკვარი და შემდეგ როგორ გადმოიარა უკან დაბრუნებისას. სვინაქსარში ეს ორი ამბავი ასე „სუბლიმირდება“: „ღმრთისა მიერ ორგზის განაპო მდინარე ევაგრი და მოვიდა შიოისსა“ (ძეგლები 1968: 170).

შეიძლება მოკლე ტექსტმა მოგვცეს ისეთი ფაქტი ან დეტალი, რომელიც ვრცელში არ არის. დავით და კონსტანტინეს წამების ვრცელ ტექსტში ნახსენებია მეომართა „გუნდი“, სვინაქსარულში დაზუსტებულია მეომართა რაოდენობა: „რიცხვით ათას სამას ოცდაათი კაცი“; ასევე, მეტაფრასტი ზოგადად მოგვითხრობს დავითის ბრძოლაზე მტრის წინააღმდეგ, ხოლო სვინაქსარი ასახელებს ბრძოლის დაწყების დროსაც („ჟამსა მწუხრისასა“), ლაშქრის რაოდენობასაც („რიცხვით ცხრა ათასი“), ბრძოლის დასასრულის ჟამსაც („ვიდრე ქათმის ხმობამდე“) და დაცემული მტრის რაოდენობასაც („ათას ორას ორმოცდა ათი კაცი“). დავითისა და კონსტანტინეს პიროვნული პორტრეტები სამჯერ უფრო ვრცელად არის წარმოდგენილი, ვიდრე ვრცელ ტექსტში (ძეგლები 1968: 157-159).

მართალია, მოკლე ტექსტები ძალიან ხშირად ვრცელიდან არის გამოკრებილი, მაგრამ ეს არ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯერ მოკლე ინერება და შემდეგ ვრცელი. დადგენილია, რომ „ეფთვიმე მთანმინდელის ცხოვრების“ სვინაქსარული ტექსტი წინ უსწრებს ვრცელ რედაქციას. მეტიც, „ეფთვიმესა და იოანეს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია (ავტორი გიორგი მთანმინდელი) სვინაქსარულ რედაქციას იყენებს თავის ერთ-ერთ წყაროდ.

ერთი სვინაქსარული რედაქცია შეიძლება მეორე სვინაქსარულის წყარო გახდეს და მეორემ განავრცოს პირველი. სწორედ ასეთი ურთიერთმიმართებაა წმ. ნინოს ცხოვრების XI და XIV საუკუნეების სვინაქსარულ რედაქციებს შორის (ძეგლები 1968: 131).

სვინაქსარი როგორც ლიტერატურული ცდა?!

შესაძლოა, ეს დასკვნა მართებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ სვინაქსარს დამოუკიდებელ ჟანრად მივიჩნევთ.

არსებობს „დავით და კონსტანტინეს ცხოვრების“ ხუთი სვინაქსარი. ეს არის უნიკალური შემთხვევა, რომელიც ადასტურებს სვინაქსარის მიზანს, იყოს მეტაფრასტისგან განსხვავებული, დამოუკიდებელი, ლეგიტიმური ფორმა. ამ ტენდენციისა თუ ინტენციის ხასიათს სვინაქსარი ბოლომდე ინარჩუნებს, თუმცა ის მაინც რჩება მეორეულ ლიტერატურულ მოვლენად და პირველად ლიტურგიკულ ფაქტად. ის ჟანრად ვერ ჩაითვლება.

ვრცელი ფორმების მინიმალისტური ტრანსფორმაცია დროის მოთხოვნაა და ამას პრაქტიკული საჭიროება განაპირობებს. სიტყვების ეკონომია მაინცდამაინც „დეპეშურ“ სტილს არ გულისხმობს, მაგრამ მთავარი პირობა უცვლელია – რაც შეიძლება ბევრი ინფორმაცია რაც შეიძლება მოკლე ტექსტში.

მცირე იტევს დიდს. ფორმა იგებს დროს.

ზღვა არის ზღვა, წვეთი არის წვეთი, მაგრამ წვეთი ინახავს ზღვის თვისებებს. ნაწილისა და მთელის ურთიერთობა – ახალი თვისებრიობის დაბადება.

დამონშებანი:

Dzveli Kartuli Agiograpiuli Lit'erat'uris Dzeglebi. Ts'igni IV. Svinaksaruli redaktsiebi (XI-XVIII ss.) (Gamosatsemad Moamzada da Gamok'vleva Daurto Enrik'o Gabidzashvilma, Ilia Abuladzis Khelmdzghvanelobita da Redaktsiit). Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1968 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.). წიგნი IV. (გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968).

Ivane Amirkhanashvili
(Georgia)

Minimalism as Practical Necessity
(from Metaphraste to Synaxarion)

Summary

Key words: Enlightenment, Metaphraste, Synaxarion.

This is not an aesthetic direction, but a purposeful path, a practical necessity, functional style – literary strategy, art of the small form.

The type of adaptation, concretism and objectification. Practice of “minimum” rather than minimalistic technique.

Liturgical service requires the creation of short texts so that the liturgical calendar will not be overloaded. In the course of time, the calendar really overloaded with the feasts of the saints. It took much time to read extensive texts of the Lives and Martyrs, and therefore it became necessary to shorten the material.

There was realized a communicative idea in which a primary importance was given to practice.

The second pole of hagiographic narrative: from Metaphrastes to Synaxarion. Synaxarion or a “word said shortly”, “described briefly”, “selected”.

The text is “selected” but syntax is not appropriately compressed. The abridged version does not touch syntactic structure. In most cases, the style of the extensive edition transfers to the abridged text without changes. It is not characterized by lapidary and laconism. The fragments of more extensive structure than its transformation. However, they have their own shape. It is a standard. The frame is narrowed but in this narrowness there remains a possibility of variation in order to open maximum opportunities of perception in a minimalistic form.

Small form as an element of culture! The function of rendering the content by means of compression, contraction, laconism. Not so much intuition interferes in the action, as pragmatic approach – to highlight the fact, the phenomenon and the phrase so that the main thing remains and excludes the accidental. The aesthetic quality of the text depends on the taste of a compiler, what he chooses, what he takes from the source, what he omits. It should be also taken into account how independent and free the compiler is where freedom is needed. A compiler should also change the motivation of reading, relatively simplify the narration in an extensive text, intensify the perception and raise the mood.

The “shortly said” sometimes corrects the episodes of the original and renders with different opinion and phraseology.

The term Synaxarion (Synaxarium) in old Greek means collection. It comes from the word “synaxis” (“synagein” – to bring together), which means: 1. an assembly for

religious worship; 2. collection of notes. The texts of Synaxarion are included in the collections: “Synaxarion”, “Gulani”, “Sadghesastsauloni”. They are associated with liturgical practice. As was mentioned above, it is in the secondary text.

The text of Synaxarion and the abridged text practically differ from each other. In Synaxarion or liturgical collections the abridged Lives are not included, though despite this, both texts are united in synaxarion type.

Synaxarion style becomes actualized after Metaphrastes reaches the acme of its development. There is an active, living process. Genre manifests the ability of self-development. In the church, as the scholars suppose, the full reading of the lives of saints continues until the end of the 10th century. At this time, they start reading the short texts in order to save time.

After Giorgi Mtatsmindeli translated “Big Synaxarion” in Georgian church new Synaxarion stage of rendering hagiographic accounts commenced. (Monuments 1968:34).

Giorgi Khutsesmonazoni (senior monk), a biographer of Giorgi Mtatsmindeli, calls the translation of “Big Synaxarion” the basis for the church. In his words, the church may have all the books, but if it does not have “Big Synaxarion”, it has no base because it looks like eating honey and the roof your mouth does not feel the sweetness (Monuments 1968:57).

Almost each synaxarion Life has plain beginning, the name is recalled, the background, ancestry. The subject directly comes into perception area.

The compiler of synaxarion text cannot be called an author. He is an editor-collector, without claim to creativity. The identity of any editor-collector is not known. Someone can be named only by supposition (Monuments 1968:94).

Synaxarion is less interested in historical accounts, does not pay much attention to real facts, most often uses miracles as an effective means of generalization. However, this is not a rule either. It depends on the identity of a compiler, whose life is compiled and for which church.

Unlike an extensive redaction, Synaxarion must be paraphrased. An extensive narrative should be placed in each sentence. Beyond an abridged text remains author’s reflections and wise saying. On the other hand, all significant facts related to the hero’s life are listed. In the Synaxarion of “The Life of Ilarion Kartveli” none of the factual detail is omitted. As to the biblical parallels and emotional phraseology, they are almost neglected.

Is Synaxarion an art of a detail?!

This conclusion is valid when Metaphrastic text a priori means essentially extensive narration, whereas Synaxarion means collected, abridged text. There are other instances too. For example, synaxarion life of Ephrem Mtatsmindeli directly repeats the episodes of extensive life. It is not abridged even if the passage is distinguished by verbosity.

The compiler of the Life of Shio Mghvime uses the following method: the passages corresponding to Metaphrastic text are repeated with the accuracy of content but with maximal abridgment, too compressed.

Synaxarion becomes a liturgical mini-model of Metaphraste. At the same time, a compiler tries not to repeat similar passages; two similar stories are rendered using one phrase.

An abridged text can give such fact or detail which is absent in the extensive text. In the extensive text of the Martyrdom of David and Konstantine, a “team” of warriors is mentioned, in Synaxarion the quantity of warriors is précised: “one thousand three hundred and thirty men in number”; Metaphraste also gives a general narrative of the battle of David against the enemies, but Synaxarion indicates time of the beginning the battle (“the time of sadness”), the number of troops (nine thousand in number), the time of ending the battle and the number of perished enemies (“one thousand twenty fifty men”). Personal portraits of David and Konstantine are presented three times more extensively than in the extensive text.

It is true short texts are very often collected from the extensive text but this does not happen in the case when at first the short is written and then the extensive. It is established that Synaxarion text of the “Life of Ekvtime Mtatsmindeli” goes ahead of extensive redaction. Moreover, an extensive redaction of the “Life of Ephrem and Ioane” (the author is Giorgi Mtatsmindeli) uses Synaxarion redaction as one of his sources.

One Synaxarion redaction may become the source of another Synaxarion and the second can extend the first. It is just such interrelation between eleventh and fourteenth-centuries Synaxarion redactions (Monuments 1068:131).

Synaxarion as a literary attempt!

Probably, this conclusion can be correct in case if Synaxarion be regarded as an independent genre. There exist five Synaxaria of the Life of David and Konstantine. It is a unique case which proves the purpose of Synaxarion to be different from Metaphraste, independent, legitimate form. The character of this tendency or intension is kept by Synaxarion till the end, though still it remains a secondary literary phenomenon and primary liturgical fact. It cannot be considered a genre.

Minimalistic transformation of small forms is a demand of time and this is determined by practical need. The economy of words does not necessary means “telegram” style but the main condition is unchanged – as much information as possible in as short a text as possible.

Small holds a large. The form wins time. The sea is the sea, a drop is a drop but the drop preserves the properties of the sea. The interrelation between a part and the whole gives rise to a new quality.